(6) წარმომშობი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაცია ექვემდებარება დაბრუნებას.

მუხლი 6

საიდუმლო კონტრაქტების დადება

(1) საიდუმლო კონტრაქტის დადებამდე კონტრაქტორმა ოფიცერმა, საკუთარი კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, კონტრაქტორის კომპეტენტური ორგანოსგან უნდა მიიღოს საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის დაშვება, რათა გარანტია ჰქონდეს, რომ შესაძლო კონტრაქტორი ექვემდებარება ამ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს უსაფრთხოების კონტროლს და რომ მას გატარებული აქვს საიდუმლო კონტრაქტის შესრულებისთვის საჭირო უსაფრთხოების ზომები. თუ კონტრაქტორი ჯერ არ ექვემდებარება უსაფრთხოების კონტროლს, ამ მიზნით შესაძლებელია მოთხოვნის გაკეთება.

(2) ასევე, საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის დაშვების მიღება აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ საწარმოს მოეთხოვება სატენდერო შეთავაზების გაკეთება და თუ, სატენდერო პროცედურის ფარგლებში, საიდუმლო ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს საიდუმლო კონტრაქტის დადებამდე.

(3) პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოიყენება შემდეგი პროცედურები:

1. იმისათვის, რომ მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოდან კონტრაქტორს მიენიჭოს საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის დაშვება, მოთხოვნა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროექტის, ასევე, იმ საიდუმლო ინფორმაციის ბუნების, ფარგლებისა და საიდუმლოობის ხარისხის შესახებ, რომლის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ გადაეცემა კონტრაქტორს ან შეიქმნება მის მიერ.

2. საწარმოს სრულ დასახელებაზე, მის საფოსტო მისამართზე, მისი უსაფრთხოების თანამდებობის პირის ვინაობაზე, საწარმოს ტელეფონისა და ფაქსის ნომრების და მისი ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დამატებით, საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის დაშვება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, განსაკუთრებით იმის შესახებ, შესაბამისი საწარმოს მიერ თუ რა ფარგლებში და საიდუმლოობის რომელ ხარისხამდე იქნა გატარებული უსაფრთხოების ზომები, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს აცნობებენ საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის უკვე გაცემული დაშვებით გათვალისწინებული ფაქტების ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

4. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტურ ორგანოებს შორის ასეთი ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება იმ ორგანოს სახელმწიფო ენაზე, რომელსაც მიეწოდება ინფორმაცია, ან ინგლისურ ენაზე.

5. საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის დაშვება და, საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის დაშვების მინიჭების მიზნით, ხელშემკვრელი მხარეების შესაბამისი კომპეტენტური ორგანოებისადმი მიმართული მოთხოვნები გადაიცემა წერილობით.

მუხლი 7

საიდუმლო კონტრაქტების შესრულება

(1) საიდუმლო კონტრაქტები უნდა შეიცავდეს უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ მუხლს, რომლის თანახმად, კონტრაქტორი ვალდებულია, საკუთარი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღოს საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად საჭირო ზომები.

(2) უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ მუხლი, დამატებით, უნდა შეიცავდეს შემდეგ დებულებებს:

1. ტერმინის „საიდუმლო ინფორმაცია“ და ორივე ხელშემკვრელი მხარის შესაბამისი საიდუმლოობის ხარისხების განმარტება, წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად;

2. ორივე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს დასახელება, რომელიც უფლებამოსილია, ნებართვა გასცეს საიდუმლო კონტრაქტთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაციის გაცემაზე და კოორდინაცია გაუწიოს მის დაცვას;

3. არხები, რომლებიც გამოყენებული იქნება კომპეტენტურ ორგანოებსა და შესაბამის კონტრაქტორებს შორის საიდუმლო ინფორმაციის გადასაცემად;

4. საიდუმლო ინფორმაციასთან დაკავშირებით იმ ცვლილებების შეტყობინების პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც შეიძლება გამოწვეულ იქნას საიდუმლო ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხის

ცვლილების გამო, ან იმის გამო, რომ დასაიდუმლოება აღარ არის საჭირო;

5. თანხმობის პროცედურები კონტრაქტორების პერსონალის ვიზიტებზე ან მათ მიერ წვდომაზე;

6. საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის პროცედურები იმ კონტრაქტორებისთვის, სადაც მოხდება ამგვარი ინფორმაციის გამოყენება ან განთავსება;

7. მოთხოვნა, რომ კონტრაქტორი საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის უფლებას მიანიჭებს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც აქვს ინფორმაციის გაცნობის საჭიროება და დავალებული აქვს ან წვლილი შეაქვს საიდუმლო კონტრაქტის შესრულებაში, და რომელიც - VS-NUR FÜR DEN DIENSTGEBRAUCH / „შეზღუდული სარგებლობისათვის“ ხარისხის მქონე საიდუმლო ინფორმაციის შემთხვევის გარდა - წინასწარ არის შემოწმებული საიდუმლო ინფორმაციის შესაბამის ხარისხზე;

8. მოთხოვნა, რომ საიდუმლო ინფორმაციის მესამე მხარისთვის გამჟღავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, ან საიდუმლო ინფორმაციის მესამე მხარისთვის გამჟღავნება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ნებადართული, თუ ამაზე არსებობს წარმომშობი ხელშემკვრელი მხარის თანხმობა;

9. მოთხოვნა, რომ კონტრაქტორი დაუყოვნებლივ შეატყობინებს საკუთარ კომპეტენტურ ორგანოს საიდუმლო კონტრაქტით გათვალისწინებული საიდუმლო ინფორმაციის ნებისმიერი ფაქტობრივი ან შესაძლო დაკარგვის, გაჟონვის ან უნებართვო გამჟღავნების შესახებ.

(3) კონტრაქტორი ოფიცრის კომპეტენტური ორგანო კონტრაქტორს მიაწვდის ყველა იმ დოკუმენტური ჩანაწერის ცალკე სიას (საიდუმლოობის სახელმძღვანელო), რომელიც საჭიროებს დასაიდუმლოებას, განსაზღვრავს საიდუმლოობის საჭირო ხარისხს და უზრუნველყოფს, რომ ეს სია თან დაერთოს საიდუმლო კონტრაქტს დანართის სახით. კონტრაქტორი ოფიცრის კომპეტენტური ორგანო, ასევე, გადასცემს ან უზრუნველყოფს ამ სიის გადაცემას კონტრაქტორის კომპეტენტური ორგანოსთვის.

(4) კონტრაქტორი ოფიცრის კომპეტენტური ორგანო უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორს ჰქონდეს საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის უფლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონტრაქტორის კომპეტენტური ორგანოსგან მიიღებს საიდუმლო ინფორმაციასთან იურიდიული პირის სათანადო დაშვებას.

მუხლი 8

საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა

(1) STRENG GEHEIM / „განსაკუთრებული მნიშვნელობის“ ხარისხის მქონე საიდუმლო ინფორმაცია ხელშემკვრელ მხარეთა შორის გადაიცემა მხოლოდ მთავრობათაშორისი დიპლომატიური არხებით.

(2) პრინციპის დონეზე, VS-VERTRAULICH / „საიდუმლო“ და GEHEIM / „სრულიად საიდუმლო“ ხარისხების მქონე საიდუმლო ინფორმაცია ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადაიცემა ოფიციალური კურიერის მეშვეობით. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები შესაძლოა შეთანხმდნენ გადაცემის ალტერნატიულ არხებზე. საიდუმლო ინფორმაციის მიღება უნდა დამოწმდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ ან მისი მოთხოვნით და საიდუმლო

ინფორმაცია მიმღებთან უნდა გადაიგზავნოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

(3) სპეციალურად განსაზღვრული პროექტისთვის კომპეტენტური ორგანოები შესაძლოა შეთანხმდნენ - ზოგადად ან შეზღუდვების გათვალისწინებით - რომ VS-VERTRAULICH / „საიდუმლო“ და GEHEIM / „სრულიად საიდუმლო“ ხარისხების მქონე საიდუმლო ინფორმაცია შესაძლებელია გადაცემულ იქნას, ოფიციალური კურიერის გარდა, სხვა არხებით, თუ ოფიციალური კურიერის მომსახურების გამოყენება გამოიწვევს განსაკუთრებულ სირთულეს ამგვარი ტრანსპორტირებისთვის, ან საიდუმლო კონტრაქტის შესრულებისთვის. ასეთ შემთხვევებში:

1. გადამტანი უნდა იყოს უფლებამოსილი, გაეცნოს შესაბამისი საიდუმლოობის ხარისხის მქონე საიდუმლო ინფორმაციას;

2. გადაცემული საიდუმლო ინფორმაციის შემცველი საგნების სია უნდა დარჩეს გამგზავნ კომპეტენტურ ორგანოსთან; ამ სიის ასლი უნდა გადაეცეს მიმღებს, კომპეტენტური ორგანოსთვის მისი გადაგზავნის მიზნით;

3. საიდუმლო ინფორმაციის შემცველი საგნები უნდა შეიფუთოს ეროვნულ საზღვრებში ტრანსპორტირების მარეგულირებელი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად;

4. საიდუმლო ინფორმაციის შემცველი საგნების ჩაბარება უნდა მოხდეს მიღების დამადასტურებელი ჩანაწერით, და

5. გადამტანმა თან უნდა იქონიოს, გამგზავნი ან მიმღები ორგანოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, კურიერის სერთიფიკატი.

(4) როდესაც დიდი ოდენობის საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა ხდება, ტრანსპორტირების საშუალებები, მარშრუტი და ესკორტი განისაზღვრება კომპეტენტური ორგანოების მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და დეტალური ტრანსპორტირების გეგმის საფუძველზე.

(5) VS-VERTRAULICH / „საიდუმლო“ და უფრო მაღალი ხარისხის მქონე საიდუმლო ინფორმაციის ელექტრონული გადაცემა არ უნდა განხორციელდეს დაუშიფრავი ფორმით. აღნიშნული საიდუმლოობის ხარისხების მქონე საიდუმლო ინფორმაცია შესაძლებელია დაიშიფროს მხოლოდ ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ ურთიერთშეთანხმებით დამტკიცებული დაშიფვრის საშუალებებით.

(6) VS-NUR FÜR DEN DIENSTGEBRAUCH / „შეზღუდული სარგებლობისათვის” ხარისხის მქონე საიდუმლო ინფორმაცია მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ მიმღებებს შესაძლოა გადაეცეთ ფოსტით ან მიწოდების სხვა მომსახურებით, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლო გადაცემის შესახებ მიმღებსა და გამგზავნს შორის წინასწარ იქნა მიღწეული შეთანხმება.

(7) VS-NUR DEN DIENSTGEBRAUCH / „შეზღუდული სარგებლობისათვის” ხარისხის მქონე საიდუმლო ინფორმაცია შესაძლებელია ელექტრონულად გადაიცეს ან ხელმისაწვდომი გახდეს ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების მიერ დამტკიცებული მოწყობილობის საშუალებით. საიდუმლოობის აღნიშნული ხარისხის საიდუმლო ინფორმაცია მხოლოდ იმ

შემთხვევაში შეიძლება გადაიცეს დაუშიფრავი ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, დამტკიცებული დაშიფვრის საშუალებები არ არის ხელმისაწვდომი, გადაცემა ხორციელდება მხოლოდ ფიქსირებული ქსელით და გამგზავნი და მიმღები წინასწარ შეთანხმდნენ შესაძლო გადაცემაზე.

მუხლი 9

ვიზიტები

(1) პრინციპის დონეზე, ვიზიტორებს ერთი ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიიდან მიენიჭებათ მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის უფლება და დაშვება იმ ობიექტებზე, სადაც ხორციელდება საიდუმლო ინფორმაციასთან მოპყრობა, მხოლოდ იმ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს წინასწარი ნებართვით, რომლის სახელმწიფოშიც უნდა განხორციელდეს ვიზიტი. ამგვარი ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც აქვთ ინფორმაციის გაცნობის დადასტურებული საჭიროება და უფლებამოსილნი არიან, გაეცნონ საიდუმლო ინფორმაციას, ხელშემკვრელი მხარეების შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად.

(2) ვიზიტის შესახებ მოთხოვნა ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს უნდა წარედგინოს დროულად და ამ ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის სახელმწიფოს ტერიტორიაზეც სურთ ამ ვიზიტორებს შესვლა. კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს შეატყობინებენ ამგვარი მოთხოვნის დეტალების შესახებ და უზრუნველყოფენ პერსონალური მონაცემების დაცვას.

(3) ვიზიტის შესახებ მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს იმ სახელმწიფოს ენაზე, სადაც ხორციელდება ვიზიტი, ან ინგლისურ ენაზე და უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. ვიზიტორის სახელი და გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, მისი პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი;

2. ვიზიტორის მოქალაქეობა;

3. ვიზიტორის სამსახურებრივი თანამდებობა და იმ ორგანოს ან უწყების დასახელება, რომელსაც იგი წარმოადგენს;

4. საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის მიზნებისთვის, საიდუმლო ინფორმაციასთან ვიზიტორის დაშვების ხარისხი;

5. ვიზიტის მიზანი და ვიზიტის სავარაუდო თარიღი, და

6. იმ უწყებების დასახელება, საკონტაქტო პირები და ნაგებობები, სადაც უნდა განხორციელდეს ვიზიტი.

მუხლი 10

კონსულტაციები

(1) ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედი დებულებები, რომლებიც არეგულირებს საიდუმლო ინფორმაციის დაცვას.

(2) წინამდებარე შეთანხმების შესრულებისას მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთთან გამართავენ კონსულტაციებს, ერთ-ერთი ამ ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე.

(3) თითოეული ხელშემკვრელი მხარე მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს, დამატებით, ნებას დართავს, ვიზიტით ეწვიოს მისი სახელმწიფოს ტერიტორიას, რათა მის კომპეტენტურ ორგანოებთან განიხილოს მისი ობიექტები და პროცედურები, რომლებიც გამოიყენება მეორე ხელშემკვრელი მხარისგან მიღებული საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად. თითოეული ხელშემკვრელი მხარე დაეხმარება აღნიშნულ კომპეტენტურ ორგანოს, დაადგინოს, არის თუ არა ამგვარი საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ, ადეკვატურად დაცული. ვიზიტის დეტალები განისაზღვრება კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მუხლი 11

დავის გადაწყვეტა

ხელშემკვრელ მხარეთა შორის წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს ხელშემკვრელ მხარეებს შორის კონსულტაციების ან მოლაპარაკებების გზით და გადასაწყვეტად არ უნდა გადაეცეს რომელიმე ეროვნულ ან საერთაშორისო სასამართლოს, ან მესამე მხარეს.

მუხლი 12

საიდუმლო ინფორმაციის ორმხრივად დაცვის მარეგულირებელი დებულებების დარღვევა

(1) მეორე ხელშემკვრელ მხარეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს, როდესაც შეუძლებელია საიდუმლო ინფორმაციის უნებართვო გამჟღავნების გამორიცხვა, ან თუ არსებობს ეჭვი ან დადგენილია ამგვარი გამჟღავნება.

(2) კომპეტენტურმა ორგანოებმა და ხელშემკვრელი მხარის სასამართლოებმა, რომლებსაც, ამ ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, აქვთ იურისდიქცია, უნდა გამოიძიონ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მარეგულირებელი დებულებების დარღვევები და მიიღონ შესაბამისი სამართლებრივი ზომები. მეორე ხელშემკვრელმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს ამ გამოძიებას, ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, და ის ინფორმირებული უნდა იყოს შედეგების შესახებ.

მუხლი 13

ხარჯები

თითოეული ხელშემკვრელი მხარე უზრუნველყოფს მის მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესრულებისას გაწეული ხარჯების დაფარვას.

მუხლი 14

კომპეტენტური ორგანოები

(1) წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის, წინამდებარე შეთანხმების შესრულებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოები არიან:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის:
   შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტრო (ეროვნული უსაფრთხოების ორგანო),
   ეკონომიკისა და ენერგეტიკის ფედერალური სამინისტრო (განსაზღვრული უსაფრთხოების ორგანო),
   თავდაცვის ფედერალური სამინისტრო (სამხედრო უსაფრთხოების ორგანო);

2. საქართველოსთვის:
   საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

(2) წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ კომპეტენტური ორგანოები უშუალოდ აცნობებენ ერთმანეთს საკუთარ საკონტაქტო მონაცემებს და მასში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

(3) ხელშემკვრელი მხარეები დიპლომატიური არხებით აცნობებენ ერთმანეთს კომპეტენტური ორგანოების ნებისმიერი ცვლილების შესახებ და მათ საკონტაქტო მონაცემებს.

(4) კომპეტენტური ორგანოების ცვლილების შემთხვევაში, ეს არ აისახება წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის ინიცირებაზე.

მუხლი 15

ურთიერთობა სხვა ხელშეკრულებებთან, შეთანხმებებთან და ურთიერთგაგების მემორანდუმებთან

წინამდებარე შეთანხმება გავლენას არ მოახდენს საიდუმლო ინფორმაციის დაცვის შესახებ ხელშემკვრელ მხარეებს ან კომპეტენტურ ორგანოებს შორის არსებულ წებისმიერ ხელშეკრულებაზე, შეთანხმებაზე და ურთიერთგაგების მემორანდუმზე იმდენად, რამდენადაც ისინი წინააღმდეგობაში არ მოდის მის დებულებებთან.

მუხლი 16

დასკვნითი დებულებები

(1) წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი მოთხოვნების დასრულების შესახებ საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შეტყობინების დღეს. შესაბამის თარიღად განისაზღვრება შეტყობინების მიღების თარიღი.

(2) წინამდებარე შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით.

(3) წინამდებარე შეთანხმებაში შესაძლებელია წერილობით ცვლილებების შეტანა, ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია წარადგინოს წერილობითი მოთხოვნა წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე წარადგენს ამგვარ მოთხოვნას, ხელშემკვრელი მხარეები მოლაპარაკებებს გამართავენ წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

(4) თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, დიპლომატიური არხების მეშვეობით, განახორციელოს წინამდებარე შეთანხმების დენონსაცია,

ექვსთვიანი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. დენონსაციის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე გადაცემულ ან კონტრაქტორის მიერ შექმნილ საიდუმლო ინფორმაციასთან მოპყრობა უნდა გაგრძელდეს წინამდებარე შეთანხმების მე-4 მუხლის დებულებების შესაბამისად მანამდე, სანამ ეს გამართლებული იქნება დასაიდუმლოების არსებობით.

(5) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 102-ე მუხლის შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში წინამდებარე შეთანხმების დარეგისტრირების ინიცირებას, მისი ძალაში შესვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ მოახდენს ის ხელშემკვრელი მხარე, რომლის სახელმწიფოს ტერიტორიაზეც იდება წინამდებარე შეთანხმება. რეგისტრაციის და გაეროს სარეგისტრაციო ნომრის შესახებ მეორე ხელშემკვრელი მხარე ინფორმირებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ეს დადასტურდება სამდივნოს მიერ.

შესრულებულია ქ. თბილისი 2017 წლის 16 ნოემბერი ორ დედნად ქართულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, სამივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია. ქართულ და გერმანულ ტექსტებს შორის განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით	გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით

[GERMAN TEXT – TEXTE ALLEMAND]

Abkommen

zwischen

der Regierung von Georgien

und

der Regierung der Bundesrepublik Deutschland

über den Austausch und den gegenseitigen Schutz von Verschlusssachen

Die Regierung von Georgien

und

die Regierung der Bundesrepublik Deutschland –

(im Folgenden gemeinsam als „Vertragsparteien“ und einzeln als „Vertragspartei“ bezeichnet,)

in der Absicht, den Schutz von Verschlusssachen zu gewährleisten, die zwischen den zuständigen Behörden Georgiens und der Bundesrepublik Deutschland sowie mit Auftragnehmern im Hoheitsgebiet des Staates der anderen Vertragspartei oder zwischen Auftragnehmern beider Vertragsparteien ausgetauscht werden,

von dem Wunsch geleitet, eine Regelung über den gegenseitigen Schutz von Verschlusssachen zu schaffen, die auf alle zwischen den Vertragsparteien zu schließenden Abkommen über Zusammenarbeit und auf Verträge, die einen Austausch von Verschlusssachen mit sich bringen, Anwendung findet –

sind wie folgt übereingekommen:

Artikel 1
Begriffsbestimmungen

(1) Im Sinne dieses Abkommens

1. sind „Verschlusssachen“

   a) in der Bundesrepublik Deutschland
   im öffentlichen Interesse geheimhaltungsbedürftige Tatsachen, Gegenstände oder

Erkenntnisse, unabhängig von ihrer Darstellungsform. Sie werden entsprechend ihrer Schutzbedürftigkeit von einer amtlichen Stelle oder auf deren Veranlassung eingestuft;

b) in Georgien
Daten beziehungsweise Informationen oder Gegenstände (unabhängig von ihrer Form oder Beschaffenheit), die verarbeitet wurden oder werden und die vor unbefugtem Gebrauch geschützt werden müssen, Daten beziehungsweise Informationen umfassen, die Staatsgeheimnisse in den Bereichen Verteidigung, Wirtschaft, auswärtige Beziehungen, Geheimdienst, staatliche Sicherheit und Schutz von Recht und Ordnung des Staates enthalten, und die Staatsgeheimnisse im Sinne der Rechtsordnung von Georgien sind;

2. ist ein „Verschlusssachenauftrag"

ein Vertrag beziehungsweise Untervertrag zwischen einer Behörde oder einem Unternehmen aus dem Staat der einen Vertragspartei (Auftraggeber) und einer Behörde oder einem Unternehmen aus dem Staat der anderen Vertragspartei (Auftragnehmer); im Rahmen eines derartigen Vertrags sind Verschlusssachen aus dem Staat des Auftraggebers dem Auftragnehmer zu überlassen, von dem Auftragnehmer zu entwickeln oder Mitarbeitern des Auftragnehmers, die Arbeiten in Einrichtungen des Auftraggebers durchzuführen haben, zugänglich zu machen.

(2) Für die Geheimhaltungsgrade gelten die folgenden Begriffsbestimmungen:

1. In der Bundesrepublik Deutschland sind Verschlusssachen

a) STRENG GEHEIM, wenn die Kenntnisnahme durch Unbefugte den Bestand oder lebenswichtige Interessen der Bundesrepublik Deutschland oder eines ihrer Länder gefährden kann,

b) GEHEIM, wenn die Kenntnisnahme durch Unbefugte die Sicherheit der Bundesrepublik Deutschland oder eines ihrer Länder gefährden oder ihren Interessen schweren Schaden zufügen kann,

c) VS-VERTRAULICH, wenn die Kenntnisnahme durch Unbefugte für die Interessen der Bundesrepublik Deutschland oder eines ihrer Länder schädlich sein kann,

d) VS-NUR FÜR DEN DIENSTGEBRAUCH, wenn die Kenntnisnahme durch Unbefugte für die Interessen der Bundesrepublik Deutschland oder eines ihrer Länder nachteilig sein kann.

2. In Georgien sind Verschlusssachen

a) „განსაკუთრებული მნიშვნელობის" (entspricht TOP SECRET) – Daten, deren Offenlegung oder Verlust die staatlichen Interessen Georgiens in den Bereichen Verteidigung, Wirtschaft, staatliche Sicherheit, Schutz von Recht und Ordnung sowie Politik des Staates grundlegend beeinträchtigen beziehungsweise schwerste Folgen für Staaten oder Organisationen haben kann, die internationale Vertragspartner Georgiens sind,

b) „სრულიად საიდუმლო" (entspricht SECRET) – Daten, deren Offenlegung oder Verlust schwerwiegende Folgen für die Interessen Georgiens in den Bereichen Verteidigung, staatliche Sicherheit, Schutz von Recht und Ordnung, Politik und Wirtschaft und für die Interessen der Personen haben kann, die vertraulich in den Bereichen Nachrichtendienst, staatliche Sicherheit sowie Schutz von Recht und Ordnung mit den entsprechenden georgischen Behörden, welche diesbezügliche Tätigkeiten durchführen, zusammenarbeiten oder zusammengearbeitet haben, beziehungsweise Daten, deren Bekanntgabe

schwerwiegende Folgen für Staaten oder Organisationen haben kann, die internationale Vertragspartner Georgiens sind,

c) „საიდუმლო" (entspricht CONFIDENTIAL) – Daten, deren Offenlegung den Interessen Georgiens in den Bereichen Verteidigung, staatliche Sicherheit, Schutz von Recht und Ordnung, Politik und Wirtschaft und den Interessen von Personen, die in ein Sonderschutzprogramm für Beteiligte an Strafverfahren einbezogen sind, schaden kann, beziehungsweise Daten, deren Bekanntgabe den Interessen von Staaten oder Organisationen schaden kann, die internationale Vertragspartner Georgiens sind,

d) „შეზღუდული სარგებლობისათვის" (entspricht RESTRICTED) – Daten, deren Offenlegung die Interessen Georgiens in den Bereichen Verteidigung, staatliche Sicherheit, Schutz von Recht und Ordnung, Politik und Wirtschaft beziehungsweise die Interessen und Aktivitäten von Staaten oder Organisationen, die internationale Vertragspartner Georgiens sind, beeinträchtigen kann.

Artikel 2
Vergleichbarkeit

Die Vertragsparteien legen fest, dass folgende Geheimhaltungsgrade vergleichbar sind:

Georgien	Bundesrepublik Deutschland	englische Entsprechung
განსაკუთრებული მნიშვნელობის	STRENG GEHEIM	TOP SECRET
სრულიად საიდუმლო	GEHEIM	SECRET
საიდუმლო	VS-VERTRAULICH	CONFIDENTIAL
შეზღუდული სარგებლობისათვის	VS-NUR FÜR DEN DIENSTGEBRAUCH	RESTRICTED

Artikel 3

Kennzeichnung

(1) Die übermittelten Verschlusssachen werden von der zuständigen Behörde der empfangenden Vertragspartei oder auf deren Veranlassung mit dem nach Artikel 2 vergleichbaren innerstaatlichen Geheimhaltungsgrad gekennzeichnet.

(2) Die Kennzeichnungspflicht gilt auch für Verschlusssachen, die bei der empfangenden Vertragspartei im Zusammenhang mit Verschlusssachenaufträgen entstehen, und für von der empfangenden Vertragspartei hergestellte Kopien.

(3) Geheimhaltungsgrade werden auf Ersuchen der zuständigen Behörde der herausgebenden Vertragspartei von der zuständigen Behörde der die betreffende Verschlusssache empfangenden Vertragspartei oder auf deren Veranlassung geändert oder aufgehoben. Die zuständige Behörde der herausgebenden Vertragspartei teilt der zuständigen Behörde der anderen Vertragspartei ihre Absicht, einen Geheimhaltungsgrad zu ändern oder aufzuheben, unverzüglich mit.

(4) Die Übersetzung, Vervielfältigung und Vernichtung von Verschlusssachen erfolgt im Einklang mit den in den innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften der Vertragsparteien niedergelegten Anforderungen.

Artikel 4

Innerstaatliche Maßnahmen

(1) Die Vertragsparteien treffen im Rahmen ihrer innerstaatlichen Gesetze und sonstigen Vorschriften alle geeigneten Maßnahmen, um den Schutz von Verschlusssachen zu gewährleisten, die nach diesem Abkommen entstehen, ausgetauscht oder aufbewahrt werden. Sie gewähren diesen Verschlusssachen innerhalb der Grenzen der jeweiligen innerstaatlichen Gesetze und sonstigen Vorschriften der Vertragsparteien mindestens den

gleichen Schutz, wie er von der empfangenden Vertragspartei für eigene Verschlusssachen des vergleichbaren Geheimhaltungsgrads gefordert wird.

(2) Die Dauer des Geheimschutzes bemisst sich nach den jeweiligen innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften der herausgebenden Vertragspartei.

(3) Die Verschlusssachen werden ausschließlich für den angegebenen Zweck verwendet. Die empfangende Vertragspartei darf Verschlusssachen weder bekanntgeben oder nutzen noch ihre Bekanntgabe oder Nutzung gestatten, es sei denn, dies geschieht für die Zwecke und mit den etwaigen Beschränkungen, die von oder auf Veranlassung der herausgebenden Vertragspartei festgelegt worden sind. Einer gegenteiligen Regelung muss die herausgebende Vertragspartei schriftlich zugestimmt haben.

(4) Die Verschlusssachen können im Einklang mit den jeweiligen innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften der Vertragsparteien zugänglich gemacht werden. Die Ermächtigung zum Zugang setzt eine Sicherheitsüberprüfung voraus, die mindestens so streng sein muss wie diejenige, die für den Zugang zu innerstaatlichen Verschlusssachen des vergleichbaren Geheimhaltungsgrads durchgeführt wird.

(5) Der Zugang zu Verschlusssachen des Geheimhaltungsgrads საიდუმლო / VS-VERTRAULICH und höher durch eine Person mit der Staatsangehörigkeit des Staates einer Vertragspartei wird ohne vorherige Genehmigung der herausgebenden Vertragspartei gewährt.

(6) Sicherheitsüberprüfungen von Staatsangehörigen des Staates der Vertragspartei, die ihren Aufenthalt im eigenen Staat haben und dort Zugang zu Verschlusssachen benötigen, werden von deren zuständigen Behörden vorgenommen.

(7) Sicherheitsüberprüfungen von Staatsangehörigen des Staates einer Vertragspartei, die seit mindestens fünf Jahren ihren rechtmäßigen Aufenthalt im Staat der anderen

Vertragspartei haben und sich dort um eine sicherheitsempfindliche Tätigkeit bewerben, werden hingegen von der zuständigen Behörde dieser Vertragspartei im Einklang mit ihren innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften durchgeführt; sie ersucht die zuständige Behörde der anderen Vertragspartei, gegebenenfalls Sicherheitsprüfungen durchzuführen.

(8) Die Vertragsparteien sorgen innerhalb des Hoheitsgebietes ihres jeweiligen Staates für die Durchführung der erforderlichen Sicherheitsinspektionen und für die Einhaltung dieses Abkommens.

Artikel 5

Vernichtung und Rückgabe von Verschlusssachen

(1) Verschlusssachen sind zu vernichten, wenn

a) sie nicht im Einklang mit diesem Abkommen geschützt oder verwendet werden können oder

b) die herausgebende Vertragspartei ihre Vernichtung verlangt.

(2) Schriftliche Verschlusssachen sind so zu vernichten, dass die Wiederherstellung der in ihnen enthaltenen vertraulichen Informationen ausgeschlossen ist.

(3) Die Vernichtung schriftlicher Verschlusssachen erfolgt im Einklang mit den innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften der Vertragsparteien.

(4) Gegenständliche Verschlusssachen sind so zu vernichten, dass sie nicht wiederzuerkennen sind, oder so zu verändern, dass die vollständige oder teilweise Wiederherstellung der vertraulichen Informationen ausgeschlossen ist.

(5) Die herausgebende Vertragspartei ist unverzüglich über die Vernichtung zu informieren.

(6) Auf Ersuchen der herausgebenden Vertragspartei werden Verschlusssachen zurückgegeben.

Artikel 6

Vergabe von Verschlusssachenaufträgen

(1) Vor Vergabe eines Verschlusssachenauftrags holt der Auftraggeber über die für ihn zuständige Behörde bei der für den Auftragnehmer zuständigen Behörde einen Sicherheitsbescheid ein, um sich vergewissern zu können, ob der in Aussicht genommene Auftragnehmer der Geheimschutzaufsicht durch die zuständige Behörde dieser Vertragspartei unterliegt und ob er die für die Durchführung des Verschlusssachenauftrags erforderlichen Geheimschutzvorkehrungen getroffen hat. Ist ein Auftragnehmer noch nicht in der Geheimschutzbetreuung, kann hierum ersucht werden.

(2) Ein Sicherheitsbescheid ist auch dann einzuholen, wenn ein Unternehmen zur Abgabe eines Angebots aufgefordert worden ist und im Rahmen des Ausschreibungsverfahrens bereits vor Erteilung des Verschlusssachenauftrags Verschlusssachen übergeben werden müssen.

(3) In den Fällen der Absätze 1 und 2 wird das folgende Verfahren angewendet:

1. Ersuchen um Ausstellung eines Sicherheitsbescheids für Auftragnehmer aus dem Staat der anderen Vertragspartei enthalten Angaben über das Vorhaben sowie die Art, den Umfang und den Geheimhaltungsgrad der dem Auftragnehmer voraussichtlich zu überlassenden oder bei ihm entstehenden Verschlusssachen.

2. Sicherheitsbescheide müssen neben der vollständigen Bezeichnung des

Unternehmens, seiner Postanschrift und dem Namen des Sicherheitsbevollmächtigten sowie dessen Telefon- und Faxnummern und gegebenenfalls E-Mail-Adresse insbesondere Angaben darüber erhalten, in welchem Umfang und bis zu welchem Geheimhaltungsgrad bei dem betreffenden Unternehmen Geheimschutzmaßnahmen auf der Grundlage innerstaatlicher Gesetze und sonstiger Vorschriften getroffen worden sind.

3. Die zuständigen Behörden der Vertragsparteien teilen es einander mit, wenn sich die den ausgestellten Sicherheitsbescheiden zugrunde liegenden Sachverhalte ändern.

4. Der Austausch dieser Mitteilungen zwischen den zuständigen Behörden der Vertragsparteien erfolgt in der Landessprache der zu unterrichtenden Behörde oder in englischer Sprache.

5. Sicherheitsbescheide und an die jeweils zuständigen Behörden der Vertragsparteien gerichtete Ersuchen um Ausstellung von Sicherheitsbescheiden sind schriftlich zu übermitteln.

Artikel 7

Durchführung von Verschlusssachenaufträgen

(1) Verschlusssachenaufträge müssen eine Geheimschutzklausel enthalten, der zufolge der Auftragnehmer verpflichtet ist, die zum Schutz von Verschlusssachen erforderlichen Vorkehrungen in Übereinstimmung mit den innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften seines Staates zu treffen.

(2) Außerdem sind folgende Bestimmungen in die Geheimschutzklausel aufzunehmen:

1. die Bestimmung des Begriffs „Verschlusssachen“ und der vergleichbaren

Geheimhaltungsgrade der beiden Vertragsparteien in Übereinstimmung mit diesem Abkommen;

2. der Name der jeweils zuständigen Behörde der Vertragsparteien, die zur Genehmigung der Überlassung von Verschlusssachen, die mit dem Verschlusssachenauftrag in Zusammenhang stehen, und zur Koordinierung des Schutzes dieser Verschlusssachen ermächtigt sind;

3. die Wege, über die Verschlusssachen zwischen den zuständigen Behörden und beteiligten Auftragnehmern weiterzugeben sind;

4. die Verfahren und Mechanismen für die Mitteilung von Änderungen, die sich möglicherweise in Bezug auf Verschlusssachen aufgrund von Änderungen ihres Geheimhaltungsgrads oder wegen des Wegfalls der Einstufungsnotwendigkeit ergeben;

5. die Verfahren für die Genehmigung von Besuchen oder des Zugangs von Personal der Auftragnehmer;

6. die Verfahren für die Übermittlung von Verschlusssachen an Auftragnehmer, bei denen solche Verschlusssachen verwendet und aufbewahrt werden sollen;

7. die Forderung, dass der Auftragnehmer den Zugang zu einer Verschlusssache nur einer Person gewähren darf, welche die Bedingung „Kenntnis nur, wenn nötig" erfüllt und mit der Durchführung des Verschlusssachenauftrags beauftragt worden oder daran beteiligt ist und – außer im Falle von als შეზღუდული სარგებლობისათვის / VS-NUR FÜR DEN DIENSTGEBRAUCH eingestuften Verschlusssachen – zuvor bis zum entsprechenden Geheimhaltungsgrad sicherheitsüberprüft worden ist;

8. die Forderung, dass eine Verschlusssache nur an Dritte weitergegeben beziehungsweise ihre Weitergabe an Dritte nur gestattet werden darf, wenn die herausgebende Vertragspartei dem zugestimmt hat;

9. die Forderung, dass der Auftragnehmer die für ihn zuständige Behörde unverzüglich über jeden erfolgten oder vermuteten Verlust, eine begangene oder vermutete Indiskretion oder unbefugte Bekanntgabe der unter den Verschlusssachenauftrag fallenden Verschlusssachen zu unterrichten hat.

(3) Die für den Auftraggeber zuständige Behörde benennt dem Auftragnehmer in einer gesonderten Aufstellung (Einstufungsliste) sämtliche Vorgänge, die einer Verschlusssacheneinstufung bedürfen, legt den erforderlichen Geheimhaltungsgrad fest und veranlasst, dass diese Aufstellung dem Verschlusssachenauftrag als Anhang beigefügt wird. Die für den Auftraggeber zuständige Behörde hat diese Aufstellung auch der für den Auftragnehmer zuständigen Behörde zu übermitteln oder ihre Übermittlung zu veranlassen.

(4) Die für den Auftraggeber zuständige Behörde stellt sicher, dass dem Auftragnehmer Verschlusssachen erst dann zugänglich gemacht werden, wenn der entsprechende Sicherheitsbescheid der für den Auftragnehmer zuständigen Behörde vorliegt.

Artikel 8
Übermittlung von Verschlusssachen

(1) Verschlusssachen des Geheimhaltungsgrads განსაკუთრებული მნიშვნელობის / STRENG GEHEIM werden zwischen den Vertragsparteien ausschließlich auf diplomatischem Wege befördert.

(2) Verschlusssachen der Geheimhaltungsgrade საიდუმლო / VS-VERTRAULICH und

სრულიად საიდუმლო / GEHEIM werden von einem Staat in den anderen grundsätzlich auf amtlichem Kurierweg befördert. Die zuständigen Behörden der Vertragsparteien können alternative Übermittlungswege vereinbaren. Der Empfang einer Verschlusssache wird von der zuständigen Behörde oder auf deren Veranlassung bestätigt und die Verschlusssache nach Maßgabe der innerstaatlichen Gesetze und sonstigen Vorschriften an den Empfänger weitergeleitet.

(3) Die zuständigen Behörden können für ein genau bezeichnetes Vorhaben – allgemein oder unter Festlegung von Beschränkungen – vereinbaren, dass Verschlusssachen der Geheimhaltungsgrade საიდუმლო / VS-VERTRAULICH und სრულიად საიდუმლო / GEHEIM auf einem anderen als dem amtlichen Kurierweg befördert werden dürfen, sofern die Einhaltung des amtlichen Kurierwegs den Transport oder die Ausführung eines Verschlusssachenauftrags unangemessen erschweren würde. In derartigen Fällen

1. muss der Beförderer zum Zugang zu Verschlusssachen des vergleichbaren Geheimhaltungsgrads ermächtigt sein;

2. muss bei der absendenden zuständigen Behörde ein Verzeichnis der beförderten Verschlusssachen verbleiben; ein Exemplar dieses Verzeichnisses ist dem Empfänger zur Weiterleitung an die zuständige Behörde zu übergeben;

3. müssen die Verschlusssachen nach den für die Inlandsbeförderung geltenden innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften verpackt sein;

4. muss die Übergabe der Verschlusssachen gegen Empfangsbescheinigung erfolgen und

5. muss der Beförderer einen Kurierausweis mit sich führen, der von der zuständigen Behörde des Staates der absendenden oder der empfangenden Behörde ausgestellt wurde.

(4) Für die Beförderung von Verschlusssachen von erheblichem Umfang werden Transport, Transportweg und Begleitschutz in jedem Einzelfall durch die zuständigen Behörden auf der Grundlage eines detaillierten Transportplans festgelegt.

(5) Verschlusssachen der Geheimhaltungsgrade საიდუმლო / VS-VERTRAULICH und höher dürfen auf elektronischem Wege nicht unverschlüsselt übermittelt werden. Für die Verschlüsselung von Verschlusssachen dieser Geheimhaltungsgrade dürfen nur Verschlüsselungssysteme eingesetzt werden, die von den zuständigen Behörden der Vertragsparteien in gegenseitigem Einvernehmen zugelassen worden sind.

(6) Verschlusssachen des Geheimhaltungsgrads შეზღუდული სარგებლობისათვის / VS-NUR FÜR DEN DIENSTGEBRAUCH können unter Berücksichtigung der innerstaatlichen Gesetze und sonstigen Vorschriften und unter der Voraussetzung, dass sich Absender und Empfänger zuvor über die beabsichtigte Übertragung geeinigt haben, an Empfänger im Hoheitsgebiet des Staates der anderen Vertragspartei mit der Post oder anderen Zustelldiensten übermittelt werden.

(7) Verschlusssachen des Geheimhaltungsgrads შეზღუდული სარგებლობისათვის / VS-NUR FÜR DEN DIENSTGEBRAUCH können mithilfe von Geräten, die von den zuständigen Behörden der Vertragsparteien zugelassen worden sind, elektronisch übertragen oder zugänglich gemacht werden. Eine unverschlüsselte Übermittlung von Verschlusssachen dieses Geheimhaltungsgrads ist nur zulässig, wenn innerstaatliche Gesetze und sonstige Vorschriften dem nicht entgegenstehen, ein zugelassenes Verschlüsselungssystem nicht verfügbar ist, die Übermittlung ausschließlich innerhalb von Festnetzen erfolgt und Absender und Empfänger sich zuvor über die beabsichtigte Übertragung geeinigt haben.

Artikel 9

Besuche

(1) Besuchern aus dem Hoheitsgebiet des Staates einer Vertragspartei wird im Hoheitsgebiet des Staates der anderen Vertragspartei Zugang zu Verschlusssachen sowie zu Einrichtungen, in denen an diesen gearbeitet wird, grundsätzlich nur mit vorheriger Erlaubnis der zuständigen Behörde des Staates der zu besuchenden Vertragspartei gewährt. Sie wird nur Personen erteilt, welche die Bedingung „Kenntnis nur, wenn nötig" nachweislich erfüllen und im Einklang mit den jeweiligen innerstaatlichen Gesetzen und sonstigen Vorschriften der Vertragsparteien zum Zugang zu Verschlusssachen ermächtigt sind.

(2) Besuchsanmeldungen sind rechtzeitig und in Übereinstimmung mit den Gesetzen und sonstigen Vorschriften des Staates der Vertragspartei, in dessen Hoheitsgebiet die Besucher einzureisen wünschen, der zuständigen Behörde dieser Vertragspartei vorzulegen. Die zuständigen Behörden teilen einander die Einzelheiten der Anmeldungen mit und stellen den Schutz personenbezogener Daten sicher.

(3) Besuchsanmeldungen sind in der Sprache des zu besuchenden Staates oder in englischer Sprache und mit folgenden Angaben versehen vorzulegen:

1. Vor- und Familienname, Geburtsdatum und -ort sowie die Pass- oder Personalausweisnummer des Besuchers;

2. Staatsangehörigkeit des Besuchers;

3. Dienstbezeichnung des Besuchers und Name der Behörde oder Stelle, die er vertritt;

